

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №5, მარტი, 1993 წელი, მუხ. 66) მე-40 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 40. მომსახურების საფასური

1. მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი იხდის მომსახურების საფასურს “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. თუ პირმა საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად დაკარგა, მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანისას იგი თავისუფლდება მომსახურების საფასურის გადახდისაგან.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი